პროექტის განმარტება

პროექტი № V V-56/17 დამუშავდა 2017 წლის საინვესტიციო გეგმის თანახმად, რომელიც ეხებ ქ. თბილისში, ჩუღურეთის საქსელო რაიონის ტერიტორიაზე ნ. გოცირიძის ქ-ზე მდებარე ს/ჯ № 6114-სა და ტურგენევის ქ-ზე ს/ჯ № 6629-ს შორის მდებარე მ/ძ-ის (6კვ.) ამორტიზებული მიწისქვეშა ძალოვანი კაბელის შეცვლას.

გაითხაროს საკაბელო ტრანშეი ს/ჯ № 6114-დან ნ. გოცირიძის, ნ. კალანდარიშვილის, ჩიქობავას ქ-ის გადაკვეთაში და ტროტუარზე, ტურგენევის ქ-ის ტროტუარზე და გადაკვეთაში ს/ჯ № 6629-ის მ/ძ-ის ნაკვეთურამდე.

სამანქანო ასფალტირებული გზების გადაკვეთა შესრულდეს გვირაბული მეთოდით „კროტის" გამოყენებით.

მოეწყოს საკაბელო ბალიში წვრილფრაქციური ქვიშით, მიწისქვეშა კომუნიკაციების გადაკვეთაში ჩაიდოს სქელკედლიანი დამცავი მილი, რომელშიდაც შემდგომ გატარდეს სამონტაჟო კაბელი, ჩაიდოს კაბელი NA2XSEY1(3*95RM/16)mm2 კვეთის, მიეყაროს ქვიშა, დაეყაროს ქვიშა-ხრეში, დაედოს სასიგნალო პოლიეთილენის ლენტი, დაეყაროს ქვიშა-ხრეში, ღორღი – დაიტკეპნოს და დაიგოს ასფალტი.

ჩადებულ კაბელს გაუკეთდეს საბოლოო ქუროები, შეყვანილი იქნას ს/ჯ-ებში, გამოიხსნას არსებული ამორტიზებული კაბელის წვერები უჯრედებიდან და მათ ადგილზე შეერთდეს ახალი ჩადებული კაბელის წვერები.

სამშენებლო–სამონტაჟო სამუშაოები შესრულდეს ПУЭ–ს და СНиП–ის ნორმების შესაბამისი პუნქტების დაცვით.